ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 195

"6" მაისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ოლეგი ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის №ე-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ოლეგი ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის №ე-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობისა და ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №165ა-ში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.02.003.079) სერვიტუტის უფლების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 აპრილის №22.471.534 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ოლეგი ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის №ე-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობა - „მშენებლობის უფლების გარეშე", იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი (პ/ნ.

38001008104) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 287 559 (ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე